საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2581
15/06/2022

2581-21-2-202206151352

შპს „ვაგის“
მის: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეინდარი
ელ. ფოსტა: gvinepadzefridoni@gmial.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1650 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

როგორც №1277/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- სკრინინგის განცხადებაში, სატიტულო გვერდზე, დოკუმენტის სათაურად მითითებულია „ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის სკრინინგის განცხადება“, ხოლო შესავალ ნაწილში, სკრინინგის განცხადების წარმოდგენის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 მუხლის 5.1 ქვეპუნქტი და მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტი. შესაბამისად, დოკუმენტის სათაური საჭიროებს კორექტირებას და საქმიანობასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- დოკუმენტის თანახმად, ქვიშა-ხრეშის საწარმოს წარმადობა შეადგენს წელიწადში 100 000 $მ^3$ (180 000 ტ), რაც ერთმანეთის შეუსაბამოა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში გადასამუშავებელი ქვიშა-ხრეშის წლიური მოცულობა;
- დაზუსტებას საჭიროებს საწვავის რეზერვუარის სასუნთქი სარქველების ტექნიკური პარამეტრები (სიმაღლე, დიამეტრი);

- დაზუსტებას საჭიროებს მდ. კორისწყლიდან წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში წყალაღებისათვის გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობა (500 ლ/წთ) არ ემთხვევა 6.1 ცხრილში მითითებულ მონაცემს (2 500 ლ/წთ-ში), რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჩამდინარე წყლის ჩაშვება მოხდება მდ. კორისწყალში. დაზუსტებას საჭიროებს წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სახიფათო ნარჩენების განთავსებისა და შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო